

ბანმარტეპითი ბარათი

კანონპროექტზე: „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტი გამომდინარეობს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის“ პროექტიდან, რომელიც განპირობებულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერების და უფრო ეფექტურად დაცვის მიზნებით. კანონპროექტის მიღების მიზეზი განპირობებულია აგრეთვე საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერება და მისი უფრო ეფექტურად მართვის ღონისძიებების განხორციელება.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო საზღვრის დაცვას და სასაზღვრო-პოლიციურ ღონისძიებებს საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან ერთად განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მოძიებას. კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები მთლიანად განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახადის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ მონაწილეობდნენ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი